



საერთაშორისო დაცვის 2015 წლის აქტი

[განცხადება უზრუნველყოფილ უნდა იქნას საერთაშორისო დაცვის ნაწილით 70(10)(a), 2015წლის აქტი]

საინფორმაციო შეტყობინება-გარდამავალი ღონისძიებები

ერთჯერადი განაცხადის პროცედურის შესავალი საერთაშორისო დაცვის (ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა) განაცხადების გამოძიებისა, განსაზღვრისა და დარჩენის ნებართვის შესახებ

ეს განცხადება არის მხოლოდ ინფორმაცია და სახელმძღვანელო. ეს არ არის იურიდიული კონსულტაცია და მიზნად არ ისახავს 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტისათვის იურიდიული ინტერპრეტაციის მიცემას. ეს შენიშვნა მხოლოდ მიმართავს ძირითადი კატეგორიის საქმეებს, რომლებზეც გავლენა იქონია 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის გარდამავალმა დებულებებმა. ის არ მიმართავს ყველა შესაძლო სიტუაციას, სადაც გარდამავალი დებულებები შეიძლება იქნას გამოყენებული. თუ თქვენ საჭიროებთ უფრო მეტად დეტალურ ინფორმაციას 2015 წლის აქტისა და მისი დებულებების შესახებ, როგორც ისინი გამოიყენება თქვენს შემთხვევაში, მაშინ უნდა მოიძიოთ იურიდიული კონსულტაცია.

ეს საინფორმაციო შეტყობინება წაკითხულ უნდა იქნას ცალკე საერთაშორისო დაცვის (IPO 1) განმცხადებლების საინფორმაციო ბუკლეტთან და საერთაშორისო დაცვის კითხვარის განაცხადთან ერთად (IPO 2), რომლებიც თანდართულია.

1. შესავალი

1.1 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტი (2015 წლის აქტი) ამოქმედდა იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მიერ ("მინისტრი") **2016 წლის 31 დეკემბერს**. ამ შეტყობინებაში ეს არის მოხსენიებული, როგორც „ამოქმედების თარიღი“.

1.2 ეს საინფორმაციო შეტყობინება უზრუნველყოფთ გარდამავალი შეთანხმებების დეტალებით, მართავს რა განაცხადების გამოძიებასა და განსაზღვრას (პროცესის გარკვეულ ეტაპებამდე) საერთაშორისო დაცვისათვის (ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა) 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით, რომელიც გაკეთდა სახელმწიფოს მიერ (ირლანდიაში), დაწყების თარიღამდე. ის ასევე უზრუნველყოფს გარკვეულ დეტალებს დარჩენის ნებართვასთან დაკავშირებით.

1.3 ეს განკუთვნილია, რათა დაგეხმაროთ გაერკვეთ იმ ღონისძიებებში თუ როგორ უნდა იმოქმედოთ ჩაბარებისას

- გარკვეული განაცხადები ლტოლვილის სტატუსისა და დამატებით დაცვასთან დაკავშირებით ლტოლვილთა პროგრამების კომისიარის ოფისიდან (ORAC)
- გარკვეული ლტოლვილთა მიმართვები ლტოლვილთა სააპელაციო ტრიბუნალიდან (RAT)

რომელიც გაკეთდა 2016 წლის 31 დეკემბერამდე, ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურში დამუშავების დასასრულებლად, 2015 წლის აქტით.

1.4 უფროდეტალური ინფორმაცია, თურისსაფუძველზეაქვსპირსუფლებაგანაცხადოს ლტოლვილისანდამატებითი დაცვის სტატუსისა და პროცედურების შესახებსაერთაშორისო დაცვის ოფისში (IPO), მოცემულია თანდართულ საერთაშორისო დაცვის (IPO 1) საინფორმაციო ბუკლეტში განმცხადებლებისათვის. ბუკლეტი ასევე განმარტავს თქვენი, როგორც საერთაშორისო დაცვის განმცხადებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, და ვისთან გექნებათ საქმე აპლიკაციის პროცესის დროს. ბუკლეტი ასევე ასახავს პროცედურებს, რომელიც გამოიყენება დარჩენის განხილვასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ, გარდა იმ მოტივისა, რაც მოითხოვს საერთაშორისო დაცვის საჭიროებას.

1.5 ჩვენ ასევე თანდაურთეთ საერთაშორისო დაცვის კითხვარს განაცხადი (IPO 2).

1.6 მნიშვნელოვანია და თქვენს ინტერესს წარმოადგენს, რომ წაიკითხოთ ეს საინფორმაციო შეტყობინება, თანდართული საინფორმაციო ბუკლეტი და კითხვარი ყურადღებით და მოიძიოთ სამართლებრივი კონსულტაცია, როგორც მოთხოვნილია ისე, რათა თქვენ აღმოჩნდეთ იმპოზიციამში, რომ მხარსუჭერთ თქვენს განაცხადს, იმ ფაქტორის უზრუნველსაყოფად, რომ თქვენ გესმით თუ როგორ ვრცელდება თქვენზე გარდამავალი ღონისძიებები, 2015 წლის აქტით.

2. 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტის მიზანი

2.1 2015 წლის აქტი ითვალისწინებს ერთჯერადი განაცხადის პროცედურის დანერგვას, რომელიც იძლევა საშუალებას მოგვეთ ყველა საფუძველი, რათა ეძიოთ საერთაშორისო დაცვა (ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა)

დასახელმწიფოში დარჩენის ნებართვა სხვა მიზეზებითაც, რომელიც უნდა იყოს განხილული და განსაზღვრული ერთ თანმიმდევრულ პროცესში.

2.2 2015 წლის აქტი შეიცავს გარდამავალ ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება გარკვეული განაცხადებისათვის ლტოლვილის სტატუსისა და დამხმარე დაცვისათვის, რომელიც გაკეთდა ამოქმედების თარიღამდე (იხ. ნაწილი 4).

3. ვინ განსაზღვრავს განცხადებებსა და საჩივრებს 2015 წლის აქტით?

3.1 2015 წლის აქტით, ORAC-ი გაუქმდა. პასუხისმგებლობა გამოძიებაზე და საერთაშორისო დაცვის განაცხადების განსაზღვრაზე და ამასთან დაკავშირებული დარჩენის ნებართვის საკითხები, რომელიც მოცემულია ამ საინფორმაციო შეტყობინებაში ამოქმედების თარიღიდან და 2015 წლის აქტის დებულებების თანახმად, გადაეცემა საერთაშორისო დაცვის ოფისს (IPO) ირლანდიის ნატურალიზაციისა და იმიგრაციის სამსახურს (INIS).

3.2 2015 წლის აქტით, RAT-ი ასევე გაუქმდა. პასუხისმგებლობა გადასახადებთან დაკავშირებული სარჩელების მიმართ, საერთაშორისო დაცვის პროგრამებთან მიმართებაში, არსებობს ამოქმედების თარიღიდან და ექვემდებარება 2015 წლის აქტს, რომელიც გადაეცემა საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალს (IPAT).

4. გარდამავალი ღონისძიებები არსებული განაცხადებისათვის ლტოლვილის სტატუსისა და დამატებითი დაცვის შესახებ არ დასრულებულა ამოქმედების თარიღამდე.

4.1 გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განცხადება უნდა იქნას განხილული, EU Dublin regulation-ის მიხედვით, რომლის დროსაც გარკვეულ ალტერნატიულ ღონისძიებებს შეიძლება მიმართოთ (იხ. საინფორმაციო ბუკლეტის ნაწილი 10 განმცხადებლებისათვის, რომლებიც ეძებენ საერთაშორისო დაცვას), განმცხადებლებმა უნდა მიმართონ შემდგომ გარდამავალ ღონისძიებებს, ეძიებენ რა ლტოლვილის სტატუსსა და დამატებითი დაცვის სტატუსს, რომელიც გაკეთდა ამოქმედების თარიღამდე და რომელიც არ დასრულებულა ამ დღემდე.

კატეგორია 1 - ლტოლვილთა განცხადებები ORAC-ში

თუ თქვენ გააკეთეთ განცხადება ლტოლვილის სტატუსისათვის ამოქმედების თარიღამდე, მაგრამ მოხსენება არ მომზადდა ORAC-ის მიერ, ნაწილი 13, 1996 წლის ლტოლვილთა აქტი, ამ თარიღისთვის (სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ რეკომენდაცია არ გაკეთებულა), თქვენი განცხადება ჩაითვლება საერთაშორისო დაცვის განცხადებად (ორივე, როგორც ლტოლვილის სტატუსი და

დამატებითი დაცვა) 2015 წლის აქტის თანახმად. თქვენი ფაილი გადაეცა საერთაშორისო დაცვის ოფისს განსახილველად გაქვთ თუ არა ლტოლვილის სტატუსის ან დამხმარე დაცვის განაცხადზე უფლება.

თუ თქვენ ჩაგეთვლება, რომ არ გაქვთ უფლება გქონდეთ ლტოლვილის ან დამხმარე დაცვის სტატუსი, მინისტრი დაუყოვნებლივ გადაწყვეტს მოგანიჭოთ თუ არა ნებართვა დარჩენის შესახებ სხვა მიზეზების გამო. ეს გადაწყვეტილება იქნება დაფუძნებული ყველა სხვა დოკუმენტზე, რომელიც თქვენ უკვე წარადგინეთ და თქვენ არ მოგთხოვენ ახალი განაცხადის გაკეთებას დარჩენის ნებართვისათვის.

კატეგორია 2 - ლტოლვილთა მიმართვა

თუ თქვენ მიმართეთ განაცხადით ლტოლვილის სტატუსისათვის RAT-ს ამოქმედების თარიღამდე, მაგრამ RAT-მა არ გადაწყვიტა ის ამ თარიღისთვის, თქვენ უნდა მიმართოთ საერთაშორისო დაცვას 2015 წლის აქტით. თქვენი ფაილები გადაეგზავნება IPO-ს განსახილველად, თქვენი უფლებისათვის მიიღოთ მხოლოდ დამატებითი დაცვა. ასეთ შემთხვევებში, რეკომენდაცია თქვენი ლტოლვილის სტატუსის შესახებ, რომელიც გაკეთდა ORAC-ის მიერ, უნდა შენახულ იქნას და დარჩეს ადგილზე. თუ IPO გირჩევთ, რომ თქვენ არ უნდა მიიღოთ დამატებითი დაცვა, მინისტრი დაუყოვნებლივ განიხილავს საკითხს მოგანიჭოთ თუ არა ნებართვა, რათა დარჩეთ სხვა მიზეზების გამო. მიმდინარე მიმართვა RAT-ისთვის იქნება შენარჩუნებული და გადაეგზავნება ახალ IPAT-ს. თუ თქვენ უარს გეტყვიან დამატებით დაცვაზე, მაშინ ასევე შეგიძლიათ მიმართოთ IPO's-ის დამხმარე დაცვის რეკომენდაციისათვის IPAT-ს და ორი მიმართვა დამუშავდება, როგორც ერთი და მათი მოსმენა მოხდება ერთდროულად. თუ თქვენ უარს გეტყვიან ნებართვაზე დარჩეთ IPO-ში, თქვენ უნდა აღნიშნოთ, რომ 2015 წლის აქტით, თქვენ შეიძლება არ გაასაჩივროთ გადაწყვეტილება დარჩენის უფლების შესახებ IPAT-თან.

კატეგორია 3 - დამხმარე დაცვა

თუ თქვენ მიმართეთ დამხმარე დაცვისათვის დაწყების თარიღამდე და ORAC-მა არ დაიწყო თავისი გამოძიება ამ თარიღისათვის, თქვენი განაცხადი ჩაითვლება, როგორც განაცხადი საერთაშორისო დაცვაზე 2015 აქტით. თუ თქვენი ფაილი გადაეგზავნა IPO-

ს განსახილველად მხოლოდ რაიმე დამხმარე დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში, რეკომენდაცია თქვენი ლტოლვილის სტატუსის განაცხადის შესახებ, რომელიც გაკეთდა ORAC-ის მიერ(ან RAT-ის განცხადება მიმართვაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) იქნება შენახული და დარჩება ადგილზე.

სხვა ინფორმაცია

(i) თუ თქვენ მიმართეთ დამატებითი დაცვის შესახებ ამოქმედების თარიღამდე და ORAC-მა დაიწყო განაცხადის განხილვა ამ თარიღისათვის, განაცხადზე არ მოახდენს გავლენას 2015 წლის აქტი, გარდა იმ ფაქტისა, რომ IPO იღებს ORAC-ის ფუნქციებს. წინარე არსებული კანონმდებლობა აგრძელებს მიმართვას და IPO შეამოწმებს თქვენს განაცხადს ძველი პროცედურების შესაბამისად.

(ii) თუ თქვენ გააკეთეთ განაცხადი დამხმარე დაცვისათვის და ეს განაცხადი არის მიმართული RAT-ისთვის დაწყების თარიღამდე, ეს მიმართვა გაეგზავნება IPAT-ს, რომელიც გადაწყვეტს მას წინარე-არსებული კანონით.

5. დარჩენის ნებართვა

5.1 იმ შემთხვევაში თუ IPO გააკეთებს რეკომენდაციას, რომ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვისათვის 2015 წლის აქტით უარყოფილია (ლტოლვილის სტატუსთან და დამატებითი დაცვის სტატუსთან ან ცალკე დამატებით დაცვასთან დაკავშირებით), გადაწყვეტილება იქნება მიღებული შემდგომ, მოგვემენ თუ არა უფლებას, რომ დარჩეთ სახელმწიფოში სხვა საფუძველზე.

5.2 მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, რომ პროცედურები შეიცვალა, სადაც 2015 წლის აქტი ვრცელდება იმდენად, რამდენადაც მინისტრი მეტად აღარ მიგიწვევთ ინტერვიუზე თუ რატომ უნდა მოგანიჭონ ნებართვა სახელმწიფოში დარჩენის შესახებ. ამის ნაცვლად, IPO ჩათვლის საჭიროდ მოგცეთ თუ არა რეკომენდაცია, რომ თქვენს განაცხადზე, საერთაშორისო დაცვის შესახებ უარი ითქვას. გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, ინფორმაციასა და დოკუმენტებზე დაფუძნებით, რომელიც უკვე მოცემულია თქვენს საქმეში.

5.3 აქედან გამომდინარე, თუ თქვენი საქმე გადაეცა IPO-ს განსახილველად, როგორც აპლიკაცია საერთაშორისო დაცვისათვის 2015 წლის აქტით, თქვენ უნდა გადასცეთ წერილობით ნებისმიერი მიზეზი, თუ რატომ თვლით, რომ უნდა მოგანიჭონ ნებართვა, რათა დარჩეთ საერთაშორისო დაცვის კითხვარის განაცხადის შესაბამის ნაწილში (IPO 2). მაგალითად, თქვენი ოჯახი და შიდა გარემოებები, თქვენი მახასიათებელი კავშირის სახელმწიფოსთან, თქვენი ხასიათი და ქცევა, ორივე, სახელმწიფოს შიგნით დ

გარეთდა ჰუმანიტარული მოსაზრებები, ეს არის პოტენციურადშესაბამისი საკითხები. შესაბამისი საკითხების ყველა სრული განმარტებებისათვის,გთხოვთ იხილეთ საინფორმაციო ბუკლეტი საერთაშორისო დაცვის განმცხადებლებისათვის (IPO 1).

5.4.თქვენ ასევე უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია IPO-ს (მინისტრის სახელით), ნებისმიერი თქვენი გარემოებების შესახებ, რომელიც შეიძლება იყო მნიშვნელოვანი (მაგალითად თქვენი ოჯახი ან შიდა გარემოებები ან სიტუაციის შესახებ თქვენი წარმომოხების ქვეყანაში).

6. თუ მე ვარ ვპასუხობ გარდამავალ ღონისძებებს, მჭირდება, რომ გავაკეთო სხვა განაცხადი საერთაშორისო დაცვისათვის?

6.1 თუ თქვენი განაცხადი საერთაშორისო დაცვისათვის არის იმ კატეგორიებს შრის, რომელიც ნახსენებია ზემოთმოცემულ მე-4 ნაწილში, თქვენ არ საჭიროებთ გააკეთოთ ახალი განაცხადი საერთაშორისო დაცვის შესახებ მინისტრისთვის, მაგრამ უნდამიყვეთ ინსტრუქციას, ქვემოთ მე-7 ნაწილში, საერთაშორისო დაცვის განაცხადის კითხვარი (IPO 2), შესაბამისი ნაწილების შევსებასთან დაკავშირებით.

7. განაცხადის შევსება საერთაშორისო დაცვის კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით

7.1 თუ თქვენი განაცხადი ჩაითვლება, როგორც განაცხადი საერთაშორისო დაცვისათვის, 1, 2 ან 3 კატეგორიის მიხედვით, რომელიც ზემოთმოცემულია მე-4 ნაწილში, მაშინ უნდა შეავსოთ საერთაშორისო დაცვის კითხვარი, როგორც ეს მოცემულია:

კატეგორია 1 საქმეები (ლტოლვილის სტატუსი, დამატებითი დაცვა და დარჩენის ნებართვა)

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი სრულად.

კატეგორია 2 საქმეები (დამხმარე დაცვა და დარჩენის ნებართვა)

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, მაგრამ არ შეავსოთ ნაწილი, რაც დაკავშირებულია ლტოლვილის სტატუსთან (კითხვები 63a და 63b).

კატეგორია 3 საქმეები (დამხმარე დაცვა და დარჩენის ნებართვა)

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი, მაგრამ არ შეავსოთ ნაწილი, რაც დაკავშირებულია ლტოლვილის სტატუსთან (კითხვები 63a და 63b).

7.2 თქვენ ასევე გაქვთ უფლება წარადგინოთ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია წერილობით, თქვენი განაცხადის უზრუნველსაყოფადსაერთაშორისო დაცვისათვის, რომელსაც თქვენ შესაბამისად თვლით. თქვენ არ გჭირდებათ ხელახლა წარადგინოთ

რაიმე დოკუმენტები, რომელიც უკვე წარდგენილ იქნა თქვენს განაცხადთან დაკავშირებით, რადგანაც ეს დარჩება თქვენს ფაილში.

7.3 თქვენ უნდა დააბრუნოთ ეს საერთაშორისო დაცვის კითხვარის(IPO 2)განაცხადი, ნებისმიერ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც თქვენ ეყრდნობით, თქვენი განაცხადის გასამყარებლად საერთაშორისო დაცვისათვის და დარჩენის ნებართვისათვის (ასეთის შემთხვევაში), თუ შესაძლებელია, არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა, სამოტივაციო წერილის მიღების თარიღიდან, რომელიც თქვენ მიიღეთ ამ საინფორმაციო შეტყობინებასთან ერთად, უფასო ფოსტიტკონვერტში, რომელიც თანდართულია

**Transitional Cases Section
International Protection Office
Irish Naturalisation and Immigration Service
79 - 83 Lower Mount Street,
Dublin 2,
D02 ND99**

7.4 თუ თქვენ და/ან თქვენს კანონიერ წარმომადგენელს სჭირდება წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია IPO-ში, მას შემდეგ, რაც თქვენ წარადგინეთ ინფორმაცია ზემოთმოცემულ პარაგრაფში 7.3, თქვენ უნდა გააკეთოთ ეს რაც შეიძლება სწრაფად და თუ ამას აპირებთ, არაუგვიანეს ორი კვირისა, თქვენს დაგეგმილ ინტერვიუმდე. ეს ვადა უზრუნველყოფს დოკუმენტების გადათარგმნის დროს თუ ეს საჭიროა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ IPO ინტერვიუერს აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც შეესაბამება ინტერვიუს თარიღს.

8. როდის ჩამომართმევენ ინტერვიუს 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტით?

8.1 როდესაც თქვენ შეავსებთ და დააბრუნებთ თქვენს განაცხადს საერთაშორისო დაცვის კითხვარი (IPO 2) განაცხადს და ნებისმიერ თანმხლებ დამხმარე ინფორმაციას, რაც შეესაბამება მე-7 ნაწილს, საერთაშორისო დაცვის ოფისი შესაბამისად შეგვხმთანებათ თქვენი ინტერვიუს მომზადებასთან დაკავშირებით, თუ ეს საჭიროა. თქვენი ინტერვიუ არ შეიძლება იყოს დაგეგმილი თვეების განმავლობაში, განცხადებების ფართო სპექტრის გამო, რომელიც უნდა დამუშავდეს IPO-ს მიერ.

8.2 არ არსებობს საჭიროება, რომ თქვენ დაეკონტაქტოთ საერთაშორისო დაცვის ოფისს პირდაპირ ან არაპირდაპირ, რათა მოითხოვოთ ინტერვიუ.

9. როდის მოსმენს ჩემს მიმართვას IPAT-ი?

9.1 თუ თქვენ გაქვთ მიმდინარე ლტოლვილთა მიმართვა, რომელიც არ იყო წინასწარ გადაწყვეტილი ამოქმედების თარიღამდე, თქვენი ფაილი გადაეგზავნება IPO-ს, როგორც ხაზგასმულია ზემოთმოცემულ მე-4 ნაწილში

9.2 თუ თქვენ გაქვთ მიმდინარე დამატებითი დაცვის მიმართვა, მისი მოსმენა მოხდება IPAT-ის მიერ და თქვენ იქნებით ინფორმირებული მოსმენის თარიღზე IPAT-ის მიერ.

10. შემდგომი ინფორმაცია

10.1 ნებისმიერი შეკითვა, რაც ეხება ამ საინფორმაციო შეტყობინების შინაარსს უნდა გაეგზავნოს **წერილობით** Customer Service Centre, International Protection Office, Irish Naturalisation and Immigration Service, 79-83 Lower Mount Street, Dublin 2 ან **info@ipo.gov.ie**

10.2 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტი და თანდართული ნორმატიული ინსტრუმენტები არის ხელმისაწვდომი ელ. ფოსტაზე: **www.ipo.gov.ie**

10.3 ეს საინფორმაციო შეტყობინება არის ასევე ხელმისაწვდომი რიგ ენებზე ზემოთმოცემულ ელექტრონულ მისამართზე.

10.4 თქვენი მცდელობა შეიძლება იყოს უშედეგო იურიდიული დახმარების საბჭოში, თქვენი საერთაშორისო დაცვის დარჩენის ნებართვასთან დაკავშირებით. ალტერნატიულად, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საკონსულტაციო დკერძოადვოკატს საკუთარი ხარჯებით.

10.5 თქვენ ასევე გაქვთ უფლება კონსულტაციით მიმართოთ გაერთანებული ერების ორგანიზაციის უმაღლეს კომისარს ლტოლვილთა საკითხებში, თქვენს განაცხადთან დაკავშირებით, საერთაშორისო დაცვის გაწევის თაობაზე.

10.6 ხელშეკრულების დეტალები ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ნახსენებია ამ საინფორმაციო შეტყობინებაში არის მოცემული **დანართში 1**.

საერთაშორისო დაცვის ოფისი

ირლანდიის ნატურალიზაციისა დამიგრაციის სამსახური

იანვარი 2017

danarTi 1
zogierTi sakontaqto detali

International Protection Office,
Irish Naturalisation and Immigration Service,
79-83 Lower Mount Street,
Dublin 2. D02 ND99
ტელეფონი: 01 6028000
ფაქსი: 01 602 8122
ვებგვერდი: www.ipa.gov.ie
ელ. ფოსტა: info@ipo.gov.ie

International Protection Appeals Tribunal.
6/7 Hanover Street,
Dublin2. D02 W320
ტელეფონი: 01 474 8400
ადგილობრივი-ზარი: 1890 210 458
ფაქსი: 01 474 8410
ვებგვერდი: www.protectionappeals.ie
ელ. ფოსტა: info@protectionappeals.ie

Legal Aid Board .
Legal Aid Board Law Centre Smithfield,
48/49 North Brunswick Street,
Georges Lane,
Dublin7. D07 PE0C
ტელეფონი: 01 646 9600.
ვებგვერდი: www.legalaidboard.ie
ელ. ფოსტა: lawcentresmithfield@legalaidboard.ie

International Organisation for Migration.
116 Lower Baggot Street,
Dublin2. D02 R252
უფასო ტელეფონი: 1800 406 406
ტელეფონი: +353 1 676 0655
ვებგვერდი: www.ireland.iom.int
ელ. ფოსტა: iomdublin@iom.int

United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR)
102 Pembroke Road,
Ballsbridge,
Dublin4. D04 E7N6
ტელეფონი: 01 6314510
ელ. ფოსტა: iredu@unhcr.org